აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
Аҧснытәи автономтәи республика афинанскәи аекономикәи рминистрра

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01/13

ქ. თბილისი 07.04.2022 წ.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2022 წლის 22 ივნისის N01/45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 30 აგვისტოს №22 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. ცვლილება შევიდეს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2022 წლის 22 ივნისის N01/45 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში და შინაგანაწესის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.სამსახურში დაგვიანების შემთხვევაში, მოსამსახურე ვალდებულია სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს და ადმინისტრაციული დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს. სამსახურში დაგვიანების გამო, მოსამსახურის მიერ გაცდენილი დრო ანაზღაურდება იმავე კვირაში, არასამუშაო საათებში მოსამსახურის სამუშაო ადგილზე დარჩენით და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით, იმგვარად, რომ ნამუშევარმა საათებმა კვირის განმავლობაში შეადგინოს 40 საათი.
4. სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურიდან საპატიო მიზეზით გასვლის საჭიროების შემთხვევაში - დღეში არაუმეტეს სამი საათისა (თვეში არაუმეტეს 6 საათი) - მოსამსახურე

ვალდებულია სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით წინასწარ შეუთანხმდეს უშუალო ხელმძღვანელს და აცნობოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს."

მუხლი 2. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს - რევაზ გერგედავას დაევალოს აღნიშნული ბრძანების გაცნობა სამინისტროს ყველა მოსამსახურისათვის.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (თბილისი, ა.კალანდაძის ქ.7ა) ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი ლევან თევზაია